

საქართველოს საგარეო სამინისტროს ვაკანტურ დიპლომატიურ  
თანამდებობებზე დასანიშნ პირთა შერჩევა

ინფორმაცია გამოსაცდელებისათვის

**1. წერიტი გამოცდების ეტაპები**

წერიტი გამოცდები ტარდება სამ ეტაპად:

- ა) პირველი ეტაპი - წერიტი გამოცდა ინგლისურ ენაში;
- ბ) მეორე ეტაპი - წერიტი გამოცდა მე-2 (არჩევით) უცხო ენაში (ან რუსულ ენაში – იმ პოზიციებში, სადაც რუსულ ენის ჩაბარება სავალდებულოა);
- გ) მესამე ეტაპი - წერიტი გამოცდა ქართულ ენაში.

წერიტი გამოცდის ყოველ მომდევნო ეტაპზე გამოსაცდელი დაიშვება წინა ეტაპზე მიღებული დადებითი შეფასების (B2 შეფასება ან მეტი) ან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული სერტიფიკატის მქონე პირთა სიაში კანდიდატთა არსებობის შემთხვევაში, ხოლო ქართულ ენაში წერიტი გამოცდის დადებითი შეფასებაა მაქსიმალური 20 ქულიდან 14 ქულა და მეტი.

**2. წერიტი გამოცდის ჩატარების ვადები და ადგილი**

წერიტი გამოცდა ინგლისურ ენაში (გამოცდების 1 ეტაპი) ჩატარდება 30 აპრილს, თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში, იოსებძის ქ. N50.

რეგისტრაცია დაიწყება 10.00 საათზე, ხოლო ტესტირება - 11:00 საათზე.

გამოსაცდელები უნდა გამოცხადდენ გამოცდის ადგილას 10.00 საათზე და თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მეორე და მესამე წერიტი გამოცდების ჩატარების ვადებისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ([www.naec.gov.ge](http://www.naec.gov.ge)), პირველი ეტაპის გამოცდების დასრულების შემდგომ. შემდეგ ეტაპზე გადასულ გამოსაცდელებს მომდევნო ეტაპის გამოცდის ვადებისა და ადგილის შესახებ დამატებით ასევე ეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

**3. გამოცდების ჩატარების ფორმა, ნაშრომების გასწორება და აპელაცია**

სამივე ეტაპზე გამოცდები ჩატარდება წერიტი ფორმით. დანართში (დანართი N1) მოცემულია თითოეული გამოცდის ფორმატის აღწერილობა, დავალებათა ნიმუშები და შეფასების სქემები.

დანართში (დანართი N2) მოცემულია გამოცდაზე მოქცევის წესები.

გასწორებისა და აპელაციის პროცესი ანონიმურია. ნაშრომების გასწორების ანონიმურობას უზრუნველყოფს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა.

გამოსაცდელებს ნაშრომების შედეგების ნახვა შეეძლებათ მათთვის საგანგებოდ შექმნილ ვებგვერდზე. ინფორმაციას პაროლის შესახებ გამოსაცდელები მიიღებენ უშუალოდ პირველ გამოცდაზე, რეგისტრაციის დროს.

შინაარსობრივი აპელაციის პროცესი დაიწყება შედეგების გამოქვეყნების მომდევნო დღეს და გაგრძელდება 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სააპელაციო განაცხადის გასაკეთებლად გამოსაცდელმა უნდა მიაკითხოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, დილის 10 საათიდან საღამოს 18.00 საათამდე და შეავსოს სააპელაციო განაცხადი. აქვე მას ექნება საშუალება კიდევ ერთხელ გაეცნოს გამოცდაზე გამოყენებულ ტესტებს. ტესტური დავალებები არ გამოქვეყნდება.

## უცხოური ენების ტესტების აღწერილობა

### პირველი ეტაპი

პირველ ეტაპზე კონკურსანტები დაწერენ ტესტს ინგლისურ ენაში. ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან.

**პირველი ნაწილი ამოწმებს** გამოსაცდელის მიერ ინგლისური ენის გრამატიკის, ლექსიკისა და ენობრივი სტრუქტურების ცოდნას, ასევე წაკითხულის გააზრების უნარს. ტესტი შედგება 100 სხვადასხვა სირთულის დავალებისაგან. დავალების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. შესაბამისად, ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 100.

**მეორე ნაწილი ამოწმებს** ინგლისურ ენაზე წერის უნარს. გამოსაცდელს მოეთხოვება 180-200 სიტყვიანი თხზულების დაწერა. მოსაზრება მოცემულ თემასთან დაკავშირებით გამყარებული უნდა იყოს ფაქტებით, პირადი მოსაზრებებითა და არგუმენტებით. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 20. ნაწერი ფასდება სამი კრიტერიუმით: ლოგიკური აგებულება, გრამატიკულ-ლექსიკური სისწორე და დავალებასთან შესაბამისობა. შეფასების სქემის დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ.

**მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულაა 120.** გამოსაცდელის მიერ მიღებული ქულა გადადის ევროსაბჭოს მიერ დადგენილ ენის ფლობის დონეებში (A1, A2, B1, B2, C1), რაც გვამლევს იმის საშუალებას, რომ დავადგინოთ, თუ რა დონეზე ფლობს გამოსაცდელი ინგლისურ ენას.

ქულების შესაბამისობა ენის ფლობის დონეებთან შემდეგია:

ქულა	შესაბამისი დონე
108-120	C1
84 -107	B2
60 -83	B1
36 -59	A2
18-35	A1

ტესტის შესასრულებლად გამოსაცდელს ეძლევა 2 საათი და 30 წუთი. ამ დროში შედის პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანისათვის საჭირო დრო.

მეორე ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის კომპეტენცია ინგლისურ ენაში უნდა შეესატყვისებოდეს B2 დონეს.

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ: შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელია, რომ წერით დავალებაში გამოსაცდელმა მიიღოს 9 ქულა ან მეტი; ანუ შემდეგ ეტაპზე გადავა ის გამოსაცდელი, რომელმაც დააგროვა 84 ქულა ან მეტი , და თანაც აქედან მინიმუმ 9 ქულა წერით ნაწილში (75+9).

ნიმუში ტესტის პირველი ნაწილისთვის.

**Read the sentences and mark the correct answer: A, B, C or D**

1. Does he speak Spanish? Yes, he .....  
A. has    B. did    C. do    D. does
2. .... old are you?  
A. Who    B. How    C. When    D. What
3. I asked him if he ..... a good day.  
A. have had    B. had had    C. has had    D. did had
4. Didn't you ..... play tennis?  
A. used to    B. to use    C. use to    D. have used to
5. These machines .....  
A. need regulating    B. need to regulate    C. need regulated    D. have to regulate
6. After we passed the exams, we went out to .....  
A. facilitate    B. enjoy    C. celebrate    D. please
7. Some people ..... that in near future computers will replace teachers.  
A. judge    B. realize    C. consider    D. believe
8. Although he confessed to the crime, the judge let the boy .....  
A. alone    B. come in    C. off    D. forgive
9. The garage ..... right now.  
A. is being rebuilt    B. was rebuilding    C. is rebuilding    D. has rebuilt

**Read the text and mark the correct answer.**

- Hi, Nick. Would you like to play tennis?
- Yes, sure, but it's snowing outside.
- Let's go to the gym. They have indoor courts for tennis there.
- That's a good idea! They have indoor mini-football court there as well.
- I know. I play football there sometimes. They have good equipment for football and the court is nice.

Why do the friends decide to go inside the building?

- A. The equipment for tennis is good there.
- B. It's snowing outside.
- C. They don't like outdoor games.
- D. They like indoor games.

Key: 1.D 2. B 3.B 4.C 5.A 6.C 7.D 8.C 9.A 10.B

წიგნში ტექსტის მეორე ნაწილისთვის (თხზულება).

**Read the statement below and write a 180-200 word essay.**

*Some people think that Georgia should open Embassies in every country of the world. Do you agree or disagree with the statement? Give your opinion, state facts and arguments.*

### მეორე ეტაპი

მეორე ტურში გადასული კონკურსანტები დაწერენ მხოლოდ თხზულებას რომელიმე არჩევით უცხოურ (ინგლისურის გარდა) ან რუსულ ენაზე (სადაც სავალდებულოა). თემის შეფასება მოხდება იგივე კრიტერიუმებით, როგორც ეს არის ინგლისურის მეორე ნაწილის შემთხვევაში. დადებითი შეფასებაა B2 დონე და მეტი.

ქულა	შესაბამისი დონე
18-20	C1
15 -17	B2
12 -14	B1
9 -11	A2
6-8	A1

**თხზულების შეფასების სქემა უცხოურ ენებში  
მაქსიმალური ქულა - 20**

ქულა	ნაშრომის ლოგიკური აგებულება; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად	ქულა	გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში	ქულა	რამდენად პასუხობს დავალებას ნაშრომი
8-7	- <u>ნაწერი ძალიან კარგია.</u>  - აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.  - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია.	8-7	- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 5-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.  - ლექსიკა მდიდარია.  - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა.	4	<u>ნაწერი ძალიან კარგია;</u> სრულად არის განხილული შინაარსობრივი მხარე. დავალებას პასუხობს სრულად და ამომწურავად.
6-5	- <u>ნაწერი კარგია.</u> - აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.  - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება.	6-5	- დაშვებულია 6-8 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას. ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია.  - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	3	<u>ნაწერი კარგია;</u> პასუხობს დავალებას, თუმცა ინფორმაცია არ არის სრული.
4-3	- <u>ნაწერი საშუალო დონისაა.</u> აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადაა, დებულებები მეორდება.  - წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.	4-3	- დაშვებულია 9-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.  - ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.  - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.	2	<u>ნაწერი საშუალო დონისაა;</u> დავალებას პასუხობს მხოლოდ ნაწილობრივ. ან: ნაწერი 150 სიტყვაზე ნაკლებია.
2-1	- <u>ნაწერი სუსტია.</u> ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. ან დაწერილია რამდენიმე წინადადება	2-1	- დაშვებულია 12-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია. ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა. მუდგნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა.	1	<u>ნაწერი სუსტია.</u> თემა მხოლოდ ნახსენებია. სიტყვების რაოდენობა 50-ზე ნაკლებია.
0	ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან ნაწერი არ პასუხობს დავალებას.	0	დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.	0	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს ან დაწერილია ერთი წინადადება.

## მესამე ეტაპი (გამოცდა ქართულ ენაში)

### არგუმენტირებული ესე

#### ინსტრუქცია:

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ადეკვატურადაა გაგებულნი და გააზრებული დავალების პირობა, რამდენად კარგადაა ორგანიზებული ტექსტი, დამაჯერებლადაა თუ არა დასაბუთებული თქვენი მოსაზრებები და გამყარებულია თუ არა სათანადო მაგალითებით, ჩანს თუ არა ნაშრომში დამოუკიდებელი აზროვნება.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული, უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი, რომელიც ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, არ შეფასდება.

**200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის ნაშრომი არ გასწორდება.**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

დავალების შესასრულებლად განსაზღვრულია 2 საათი.

#### ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიგელ დე უნამუნოს სტატიიდან:

„ბევრს მოაქვს თავი პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. მათ ვერ შეუვნიათ, რომ თუკი მთავრობა არაფერს აძლევს, მაშინ რაღაცას ართმევს და ართმევს კი სწორედ ცხოვრებისაგან განდგომის გამო. ვინც აგდებულად უყურებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, უფლება არა აქვს დაიჩივლოს, მთავრობის დადგენილება ჩემს ინტერესებს ბღალავსო“.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება.

**არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები**

წვრითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20. თუ კანდიდატის ნაშრომი 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისაა, არ უპასუხებს დავალების პირობას ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

<i>№</i>	<i>კრიტერიუმები</i>	<i>კრიტერიუმების განმარტება</i>	<i>მაქსიმალური ქულა</i>
I	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	კანდიდატს მოეთხოვება დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	2
II	ნაშრომის აგება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	2
III	მსჯელობის დასაბუთება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	4
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება, ფართო ერუდიცია.	3
V	ლექსიკა და სტილი	კანდიდატს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	3
VI	სინტაქსი	კანდიდატს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	3
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	კანდიდატს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	3

**I კრიტერიუმი**

<i>№</i>	<i>დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება</i>	<i>ქულები</i>
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	დავალება მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება



## II კრიტერიუმი

№	<i>ნაშრომის აგება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ნაწილობრივ დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრობა და/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომი არ არის ორგანიზებული.	0

## III კრიტერიუმი

№	<i>მსჯელობის დასაბუთება</i>	<i>ქულები</i>
1.	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	3
3.	მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული, ხშირ შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტების მოხმობისას დაშვებულია უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

## IV კრიტერიუმი

№	<i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ფართო ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა კანდიდატის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან არ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

### V კრიტერიუმი

<i>№</i>	<i>ლექსიკა და სტილი</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

### VI კრიტერიუმი

<i>№</i>	<i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში დაშვებულია ერთი სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ორი სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია სამი სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია სამზე მეტი სინტაქსური შეცდომა.	0

### VII კრიტერიუმი

<i>№</i>	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის სამზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	არ არის ექვსზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	არ არის ათზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ათზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

## გამოცდაზე მოქცევის წესები

### 1. წერთი გამოცდების ჩატარება

- წერთი გამოცდებში მონაწილე პირებმა გამოცდის დაწყებამდე უნდა გაიარონ რეგისტრაცია. რეგისტრაციისას გამოსაცდელმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- წერთი გამოცდების მიმდინარეობის დროს გამოსაცდელს უფლება აქვს თან იქონიოს:
  - ა) წყალი (პლასტმასის ბოთლით);
  - ბ) პირადი ჰიგიენის ნივთები;
  - გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სავალდებულოა);
  - დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები, გამოცდის ჩამტარებელი ორგანიზაციის წინასწარი თანხმობით.
- წერთი გამოცდების მიმდინარეობის დროს გამოსაცდელს ეკრძალება:
  - ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
  - ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის – ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ. გამოყენება;
  - გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
  - დ) სამუშაო ადგილის უნებართვით დატოვება;
  - ე) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ მუშაობის გაგრძელება.
- წერთი გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელი მიიღებს გაფრთხილებას:
  - ა) ნებადართული ნივთების გარდა სხვა ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში;
  - ბ) გამოცდის პროცედურის დარღვევის შემთხვევაში.
- მოთხოვნების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსაცდელი მოიხსნება გამოცდიდან.
- გაფრთხილების გარეშე წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევებში აპლიკანტი მოიხსნება გამოცდიდან.

საგამოცდო დროის გადაცილების შემდეგ გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსადელს დაეწერება შეფასება - 0.

### 2. აპელაცია

#### **პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიები**

კანდიდატი უფლებამოსილია წერთი გამოცდების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საპრეტენზიო

კომისიის სახელზე შეიტანოს საპრეტენზიო განაცხადი გამოცდის დასრულებისთანავე, იმავე შენობაში, რომელშიც ჩაუტარდა გამოცდა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 2 დღის განმავლობაში და გადაწყვეტილება აპლიკანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს.

***შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიები***

პრეტენზიის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა შედეგიც არ არის დადებითი.

კანდიდატს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს წერილობითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში.

საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება განმცხადებელს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.